# ოქმი N 5

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2022 წლის 24 ივნისი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლევანი ლიპარტია
2. მამუკა ქარდავა
3. აკაკი მალანია
4. ბადრი რიჟამაძე
5. მალხაზი იოსავა
6. ფელიქსი წურწუმია
7. ნინო ბოკუჩავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ლიპარტია - კომისიის თავმჯდომარე

მოწვევით: ი. ძიძიგური - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და კონტროლის სამსახურის უფროსი.

დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ბიუროს წევრები: ლ. ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე.

გ. ქაჯაია - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

ვ. ქანთარია - ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

დ. გაბუნია - განათლების კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

მ. თათარიშვილი - იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

(მომხსენებელი ი. ძიძიგური - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და კონტროლის სამსახურის უფროსი)

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

(მომხსენებელი დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7, წინააღმდეგი -არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

## დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

(მომხსენებელი ი.ძიძიგური - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და კონტროლის სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს:** ი. ძიძიგური - წარმოადგინა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში (ოქმს თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიისა და ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები

**აზრი გამოთქვეს:** ლ. ქავთარაძემ, მ. ქარდავამ, გ. ქაჯაიამ, მ. იოსავამ - დაისვა შეკითხვები აუდიტის მიერ სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის შემოწმების შედეგებთან დაკავშირებით

დებატების დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის შეფასება

**შეფასების შედეგები:**
**არადამაკმაყოფილებელი** - 0
**დამაკმაყოფილებელი** - 0
**დადებითი** - 6

(კენჭისყრას არ ესწრებოდა მ. ქარდავა)

**დაადგინეს:** ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და კონტროლის სამსახურის 2021 წლის საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

(მომხსენებელი დ.ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

**მოისმინეს:** დ. ჭოჭუა - წარმოადგინა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც ოქმს თან ერთვის

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიისა და ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები

**აზრი გამოთქვეს:** ლ. ქავთარაძემ, მ. ქარდავამ, მ. იოსავამ - დაისვა შეკითხვები სამსახურის მიერ 2021 წელს განსახორციელებელ შესყიდვებთან დაკავშირებით, რომლებიც სამსახურის მიერ ვერ განხორციელდა

დებატების დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის შეფასება

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
**შეფასების შედეგები:**

**არადამაკმაყოფილებელი - 0**

**დამაკმაყოფილებელი - 4** (ლ. ლიპარტია, მ. ქარდავა, ა. მალანია, ბ. რიჟამაძე)

**დადებითი - 3** (მ. იოსავა, ფ. წურწუმია, ნ. ბოკუჩავა)

**დაადგინეს:** ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის 2021 წლის საქმიანობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად და მიეცეს რეკომენდაცია სამსახურმა ოპერატიულად უზრუნველყოს წლის განმავლობაში დაგეგმილი შესყიდვების განხორციელება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევანი ლიპარტია